

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის

განმწესრიგებელი სხდომის

საოქმო ჩანაწერი №3/7/1483

2022 წლის 4 ნოემბერი

ქ. ბათუმი

პლენუმის შემადგენლობა:

მერაბ ტურავა – სხდომის თავმჯდომარე;

ევა გოცირიძე – წევრი, მომხსენებელი მოსამართლე;

გიორგი თევდორაშვილი – წევრი;

ირინე იმერლიშვილი – წევრი;

გიორგი კვერენჩილაძე – წევრი;

ხვიჩა კიკილაშვილი – წევრი;

მანანა კობახიძე – წევრი;

ვასილ როინიშვილი – წევრი;

თეიმურაზ ტულუში – წევრი.

სხდომის მდივანი: დარეჯან ჩალიგავა.

საქმის დასახელება: „შპს საინფორმაციო ცენტრების ქსელი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

დავის საგანი: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 50-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 82-ე მუხლის (2020 წლის 3 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) და 93-ე მუხლის მე-2 პუნქტის (2020 წლის 3 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან, მე-3 პუნქტის პირველ და მე-2 წინადადებებთან, მე-4 და მე-5 პუნქტებთან მიმართებით.

I

აღწერილობითი ნაწილი

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 14 თებერვალს კონსტიტუციური სარჩელით (რეგისტრაციის №1483) მიმართა „შპს საინფორმაციო ცენტრების ქსელმა“. №1483 კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს, არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად, გადაეცა 2020 წლის 17 თებერვალს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის განმწესრიგებელი სხდომა, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაიმართა 2022 წლის 4 ნოემბერს.

2. კონსტიტუციურ სარჩელში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის სამართლებრივ საფუძვლებად მითითებულია: საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი და მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, 31-ე



3. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 50-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „აკრძალულია კენჭისყრამდე 48 საათის განმავლობაში და კენჭისყრის დღის 20 საათამდე არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნება, გარდა არჩევნების შესაძლო მონაწილეთა და კენჭისყრის დღეს არჩევნების მონაწილეთა რაოდენობისა. არჩევნების დანიშვნის დღიდან ცესკოს მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე და ამ დღიდან 1 თვის განმავლობაში არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნებისას უნდა მიეთითოს გამოკითხვის დამკვეთი (სახელწოდება საჯარო ან საარჩევნო რეგისტრაციის მიხედვით და იურიდიული მისამართი, თუ დამკვეთი იურიდიული პირი ან სახელმწიფო ორგანოა; გვარი, სახელი და მისამართი მოქალაქის პირადობის მოწმობის მიხედვით, თუ დამკვეთი ფიზიკური პირია), გამოკითხვა ფასიანია თუ უფასო, ორგანიზაცია, რომელმაც ჩაატარა გამოკითხვა (სახელწოდება საჯარო ან საარჩევნო რეგისტრაციის მიხედვით და იურიდიული მისამართი), გამოკითხვის თარიღი, გამოკითხვის მეთოდი, გამოკითხვაში გამოყენებული კითხვების ზუსტი ფორმულირება, შესაძლო ცდომილების ფარგლები“. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 82-ე მუხლის შესაბამისად (2020 წლის 3 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) „კანონით დადგენილ ვადებში არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნება სავალდებულო ინფორმაციის გარეშე ან გამოქვეყნებასთან დაკავშირებული სხვა წესების დარღვევა – გამოიწვევს დაჯარიმებას 1 500 ლარის ოდენობით“. თავის მხრივ, ამავე კოდექსის 93-ე მუხლის მე-2 პუნქტი (2020 წლის 3 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) ადგენს კომუნიკაციის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის უფლებამოსილებას საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 82-ე და 83-ე მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა ჩადენის შემთხვევაში, დამრღვევი სუბიექტის მიმართ შეადგინოს შესაბამისი ოქმი და მისცეს იგი ადმინისტრაციულ პასუხისგებაში.

4. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დაცულია ყოველი ადამიანის უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის პირველი და მე-2 წინადადებების შესაბამისად, „მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია“. მე-17 მუხლის მე-4 პუნქტი კი ადგენს, რომ ყველას აქვს ინტერნეტზე წვდომის და ინტერნეტით თავისუფლად სარგებლობის უფლება. თავის მხრივ, მე-17 მუხლის მე-5 პუნქტი აწესრიგებს ზემოხსენებულ უფლებათა შეზღუდვის ფორმალურ საფუძვლებს. კერძოდ, „ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად“.

5. კონსტიტუციური სარჩელის ავტორისათვის პრობლემურია: ა) საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 50-ე მუხლის მე-5 პუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც კენჭისყრამდე 48 საათის განმავლობაში და კენჭისყრის დღის 20 საათამდე საზოგადოებრივი აზრის კვლევების გამოქვეყნებას უკრძალავს ინტერნეტდა ბეჭდურ მედიას, რომელიც არ ფინანსდება სახელმწიფოსაგან, ასევე, ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ბეჭდური და ინტერნეტმედიისაგან მოითხოვს არჩევნების დანიშვნის დღიდან ცესკოს მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე და ამ დღიდან 1 თვის განმავლობაში არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნებისას გამოკითხვის დამკვეთზე ინფორმაციის გამოქვეყნებასაც; ბ) საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 82-ე მუხლის (2020 წლის 3 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ამავე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სუბიექტად მოიაზრებს ინტერნეტდა ბეჭდურ მედიას; გ) საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 93-ე მუხლის მე-2 პუნქტის (2020 წლის 3 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას უფლებას ანიჭებს, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შეადგინოს ბეჭდური და ინტერნეტმედიის მიმართ საარჩევნო კოდექსის 82-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისათვის.

6. კონსტიტუციურ სარჩელზე თანდართული მასალებიდან ირკვევა, რომ მოსარჩელის მიმართ კომუნიკაციის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 82-ე მუხლის (2020 წლის 3 ივლისამდე მოქმედი რედაქცია)



საფუძველზე შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. თავის მხრივ, გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ 2019 წლის 29 ივლისს მიღებული დადგენილებით, „შპს საინფორმაციო ცენტრების ქსელი“ ცნო სამართალდამრღვევად და მას სახდელის სახით სიტყვიერი შენიშვნა გამოუცხადა. მოსარჩელემ ზემოაღნიშნული დადგენილება გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოში და მოითხოვა მისი გაუქმება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 30 სექტემბრის №4ა/729-19 დადგენილებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

7. მოსარჩელის პოზიციით, ბექდურ და ონლაინმედიას სამაუწყებლო მედიისგან განსხვავებული სპეციფიკა გააჩნია და მათთვის სადავო ნორმებით გათვალისწინებული აკრძალვების დაწესება ქმნის კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული უფლებების იმგვარ შეზღუდვას, როგორც არ არის აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში. გარდა ამისა, კონსტიტუციური სარჩელის ავტორი აპელირებს იმ გარემოებაზე, რომ სადავო ნორმები, მათ შორის, ონლაინ და ბექდურ მედიას უქვემდებარებს კომუნიკაციის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის კონტროლის სფეროს იმგვარად, რომ ამ უკანასკნელს ენიჭება საკანონმდებლო მანდატი, ბექდური და ინტერნეტმედიის მიმართ შეადგინოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი იმ პირობებში, როდესაც კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას მხოლოდ სამაუწყებლო მედიის მიმართ გააჩნია ლიცენზირებისა და ავტორიზაციის უფლებამოსილება.

8. მოსარჩელის შეფასებით, ლეგიტიმური მიზანი დიფერენცირებულად უნდა იქნეს განხილული სადავო ნორმებით დადგენილ თითოეულ წესთან მიმართებაში. გასაჩივრებული რეგულაციის მიხედვით, ერთი მხრივ, აკრძალულია საზოგადოებრივი კვლევის შედეგების გამოქვეყნება კენჭისყრამდე 48 საათის განმავლობაში და კენჭისყრის დღის 20 საათამდე. მეორე მხრივ, არჩევნების დანიშვნის დღიდან ცესკოს მიერ არჩევნების შედეგების საბოლოოდ გამოქვეყნებამდე საზოგადოებრივი კვლევის შედეგების გამოქვეყნებისას აუცილებელია დამკვეთზე ინფორმაციის მითითება. კონსტიტუციურ სარჩელში წარმოდგენილი არგუმენტაციით, საზოგადოებრივი კვლევის შედეგების გამოქვეყნების აკრძალვას კენჭისყრამდე 48 საათის განმავლობაში და კენჭისყრის დღის 20 საათამდე გააჩნია საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენის მოხდენის პრევენციის ლეგიტიმური მიზანი. შესაბამისად, აღნიშნული შეიძლება მიჩნეულ იქნეს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ ისეთ ლეგიტიმურ მიზნად, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სხვათა უფლებების, მოცემულ შემთხვევაში კი პოტენციურ ამომრჩეველთა დაცვა ინფორმაციული მანიპულაციისგან უშუალოდ არჩევნების წინ. რაც შეეხება არჩევნების დღეს, კერძოდ, საარჩევნო უბნის დახურვიდან – 20 საათიდან – ცესკოს მიერ არჩევნების შედეგების გამოქვეყნებამდე პერიოდში საზოგადოებრივი კვლევის შედეგების გამოქვეყნებისას დამკვეთზე ინფორმაციის მითითების ვალდებულებას, იგი ატარებს თვითნებურ ხასიათს. კერძოდ, ამ დროს კენჭისყრის პროცესი დასრულებულია, შესაბამისად ამომრჩეველი მოკლებულია საკუთარი პოლიტიკური ნების დაფიქსირების შესაძლებლობას და აღარ არსებობს საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენის მოხდენის პრევენციის საჭიროება.

9. მოსარჩელის მოსაზრებით, ინტერნეტდა ბექდურ მედიასთან მიმართებით სადავო ნორმებით დაწესებული შეზღუდვები, თავისი არსით, გამოუსადეგარია ამავე ნორმებით მოაზრებული ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად. კერძოდ, მოსარჩელე აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული წესით დადგენილ ვადებში სავსებით შესაძლებელია, საზოგადოებრივი კვლევა ვებგვერდზე ატვირთოს და გაავრცელოს სოციალური ქსელის ინდივიდუალურმა მომხმარებელმა, რომელსაც დაწესებული შეზღუდვა არ მიემართება. ასეთ შემთხვევებში, მიზანი, რომ ამომრჩეველი დაცული იყოს ინფორმაციული მანიპულაციისაგან, მიუღწეველი რჩება.

10. დამატებით, მოსარჩელე მიუთითებს, რომ განსხვავებით ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობისაგან, ინტერნეტში ადამიანებს აქვთ შესაძლებლობა, გააკეთონ არჩევანი, თუ კონკრეტულად რა ინფორმაციაზე ჰქონდეთ წვდომა ან რომელი ინფორმაცია დაბლოკონ ისე, რომ არ გაეცნონ მათ შინაარსს. კონსტიტუციურ სარჩელში წარმოდგენილი მოსაზრებით, ხსენებული გარემოება ნათლად წარმოაჩენს სადავო ნორმებით დადგენილი შეზღუდვის წინააღმდეგობას საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებთან.

11. კონსტიტუციური სარჩელის ავტორის შეფასებით, გასაჩივრებული წესით დადგენილი აკრძალვების გავრცელება ინტერნეტმედიაზე, რომელიც პერიოდულად განათავსებს ინფორმაციას შესაბამის ინტერნეტპლატფორმაზე, ასევე გაუმართლებლად ზღუდავს საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტით გარანტირებულ ინტერნეტზე წვდომისა და ინტერნეტით თავისუფლად



12. მოსარჩელე საკუთარი არგუმენტაციის გასამყარებლად იშველიებს საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკას.

II

სამოტივაციო ნაწილი

1. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილია, რომ „[...] საქმის განხილვის მომენტისათვის სადავო აქტის გაუქმება ან ძალადაკარგულად ცნობა იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას, გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა“. აღნიშნული მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად კი, „საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განსახილველად მიღების შემდეგ, სადავო აქტის გაუქმებისას ან ძალადაკარგულად ცნობისას, თუ საქმე ეხება საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, გააგრძელოს სამართალწარმოება და გადაწყვიტოს გაუქმებული ან ძალადაკარგულად ცნობილი სადავო აქტის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი იმ შემთხვევაში, თუ მისი გადაწყვეტა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად“.

2. №1483 კონსტიტუციურ სარჩელში, მათ შორის, სადავოა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 82-ე მუხლის და 93-ე მუხლის მე-2 პუნქტის (2020 წლის 3 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან, მე-3 პუნქტის პირველ და მე-2 წინადადებებთან, მე-4 და მე-5 პუნქტებთან მიმართებით. აღსანიშნავია, რომ №1483 კონსტიტუციური სარჩელის საკონსტიტუციო სასამართლოში რეგისტრაციის შემდგომ, საარჩევნო კოდექსში შეტანილ იქნა ცვლილებები. კერძოდ, „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2020 წლის 2 ივლისის №6723-რს საქართველოს ორგანული კანონით, ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა დასახელებული კოდექსის 82-ე მუხლი და 93-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ახლად დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, „სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადაწყვეტამდე, სადავო ნორმის გაუქმება *a priori* არ უნდა იწვევდეს სამართალწარმოების შეწყვეტას, თუ მოსარჩელე მხარე აფიქსირებს უწყვეტ ინტერესს საქმის წარმოების გაგრძელებასთან დაკავშირებით და ითხოვს ძალადაკარგული სადავო ნორმის არსებითად მსგავსი შინაარსის მქონე მოქმედი ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 8 ივლისის №3/6/1547 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ვახტანგი მიმინოშვილი, ინვერი ჩოკორაია და ჯემალი მარკოზია საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-10). ამდენად, კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადაწყვეტამდე სადავო ნორმის/ნორმების გაუქმების შემთხვევაში, საქმისწარმოების გაგრძელების საკითხზე მსჯელობისას აუცილებელია, შეფასდეს მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი ნორმის/ნორმების და მოქმედი ნორმის/ნორმების არსებითი შინაარსობრივი მსგავსება, ხოლო ასეთი მსგავსების დადასტურების შემთხვევაში, დამატებით უნდა გაირკვეს, გააჩნია თუ არა მოსარჩელე მხარეს სამართლებრივი ინტერესი, გაგრძელდეს სამართალწარმოება მოქმედ ნორმასთან/ნორმებთან მიმართებაში.

4. №1483 კონსტიტუციურ სარჩელში წარმოდგენილი პოზიცია ცხადყოფს, რომ მოსარჩელისთვის პრობლემურია საარჩევნო კოდექსის 82-ე მუხლის (2020 წლის 3 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სუბიექტად მოიაზრებს ინტერნეტა ბეჭდურ მედიას. ამ მხრივ, მოსარჩელეს მიაჩნია, რომ ბეჭდურ და ონლაინ მედიას აქვს სამაუწყებლო მედიისგან განსხვავებული სპეციფიკა და, შესაბამისად, ამგვარი შეზღუდვა საერთოდ არ უნდა ვრცელდებოდეს მათზე.

5. 2020 წლის 2 ივლისის №6723-რს საქართველოს ორგანული კანონით ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა საარჩევნო კოდექსის 82-ე მუხლი. კერძოდ, განსხვავებულად განისაზღვრა ჯარიმის ოდენობები მაუწყებლისთვის და სხვა მედიასამუალებებისთვის (მაუწყებლისთვის 5000 ლარის ოდენობით, ხოლო სხვა მედიასამუალებებისთვის – 1500 ლარის ოდენობით). მითითებული ცვლილება №1483



კონსტიტუციური სარჩელის ავტორისთვის ადგენს არსებითად მსგავსი შინაარსის მქონე ქცევის ნორმატიულ წესს და სამართლებრივ შედეგს. კერძოდ, მოსარჩელე გასაჩივრებული ნორმის კონსტიტუციურობას სავადოდ ხდის არა სანქციის ნაწილში, არამედ იმ ნორმატიული შინაარსის ფარგლებში, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სუბიექტად მოიაზრებდა ინტერნეტდა ბექდურ მედიასაც. განხორციელებული ცვლილების მიუხედავად, საარჩევნო კოდექსის 82-ე მუხლის ფარგლებში ინტერნეტმედიაადმინისტრაციული სამართალდარღვევის სუბიექტად ისევ არის მოაზრებული. გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ შეცვლილ რედაქციაში ჯარიმის ოდენობების განსხვავებულად განსაზღვრა, ისევე როგორც, მაუწყებლის და სხვა მედიასამუშალებების, როგორც სამართალდარღვევის სუბიექტების, სანქციის ნაწილში ერთმანეთისგან გამიჯვნა, №1483 კონსტიტუციურ სარჩელში წარმოდგენილ არგუმენტაციას არარელევანტურად ვერ გადააქცევს.

6. №1483 კონსტიტუციურ სარჩელში წარმოდგენილი პოზიცია ასევე მიუთითებს, რომ მოსარჩელისთვის პრობლემურია საქართველოს საარჩევნო კოდექსის 93-ე მუხლის მე-2 პუნქტის (2020 წლის 3 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას უფლებას ანიჭებს, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შეადგინოს ბექდური და ინტერნეტმედიის მიმართ საარჩევნო კოდექსის 82-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისათვის. 2020 წლის 2 ივლისის №6723-რს საქართველოს ორგანული კანონით, ცვლილებები ასევე შევიდა საარჩევნო კოდექსის მითითებულ დებულებაში და განისაზღვრა, რომ, როდესაც სახეზეა საარჩევნო სუბიექტის პასუხისმგებლობა, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია არ ადგენს შესაბამის ოქმს. ცვლილებების შედეგად, აგრეთვე განსხვავებულად დადგინდა საარჩევნო კოდექსის 83-ე მუხლით (პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის კანონით დადგენილ მოთხოვნათა დარღვევით დამზადება და განთავსება) გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ოქმის შედგენის შესაძლებლობა. მოსარჩელე წარმოადგენს ინტერნეტმედიას და არა პოლიტიკურ სუბიექტს, შესაბამისად, ფაქტია, რომ ცვლილებები არ შეხება მოსარჩელე მხარის მიერ იდენტიფიცირებულ პრობლემას და განხორციელებული ცვლილების შედეგად ჩამოყალიბებული საარჩევნო კოდექსის 82-ე მუხლის საფუძველზე, კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისია ისევ არის უფლებამოსილი, შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ბექდური და ინტერნეტმედიის მიმართ. შესაბამისად, ცვლილების შედეგად ჩამოყალიბებული სადავო ნორმის მოქმედი რედაქცია, მოსარჩელისთვის ადგენს არსებითად მსგავსი შინაარსის მქონე ქცევის ნორმატიულ წესს და სამართლებრივ შედეგს.

7. 2022 წლის 20 ოქტომბერს მოსარჩელე მხარის წარმომადგენელმა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით №1483 კონსტიტუციურ სარჩელზე, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 82-ე მუხლთან და 93-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით სამართალწარმოების გაგრძელების შესახებ. შუამდგომლობაში აღინიშნა, რომ, მართალია, განხორციელებული ცვლილებების შემდეგ მოქმედი ნორმები (მხედველობაშია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 82-ე მუხლი და 93-ე მუხლის მე-2 პუნქტი) ტექსტობრივად აღარ არის №1483 კონსტიტუციური სარჩელის ფარგლებში სადავოდ გამხდარი ნორმების იდენტური (მხედველობაშია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 2020 წლის 3 ივლისამდე მოქმედი რედაქციის 82-ე მუხლი და 93-ე მუხლის მე-2 პუნქტი), თუმცა მოსარჩელის მიერ თავდაპირველად იდენტიფიცირებული სამართლებრივი საკითხი, მსგავსი შეზღუდვის ფორმით, კვლავ აგრძელებს არსებობას მოქმედ კანონმდებლობაში. ამდენად, მოსარჩელე მხარე ითხოვს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში სამართალწარმოება არ შეწყდეს, რადგან მოთხოვნის არსი, სამართლებრივი არგუმენტაცია და მოსარჩელეთა ინტერესი დავის მიმართ არსებითად იმის მსგავსია, რაც №1483 კონსტიტუციურ სარჩელშია აღნიშნული.

8. ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსარჩელე მხარე ცხადად ადასტურებს კონსტიტუციური სარჩელის ამ ნაწილში სამართალწარმოების გაგრძელების თაობაზე თავის დაინტერესებას და ითხოვს ძალადაკარგული სადავო ნორმების არსებითად მსგავსი შინაარსის მქონე მოქმედი ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს ახლად დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, აღნიშნულ ნორმებთან მიმართებით, საქმისწარმოების გაგრძელების საფუძველს წარმოადგენს. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საარჩევნო კოდექსის 82-ე მუხლთან და 93-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით, სამართალწარმოება არ უნდა შეწყდეს და იგი უნდა გაგრძელდეს.



9. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31³ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, კონსტიტუციური სარჩელის წარმოებაში მისაღებად იგი შეტანილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ. ამავ კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ადგენს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში ნორმატიული აქტის ან მისი ცალკეული ნორმების კონსტიტუციურობის თაობაზე კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ „საქართველოს მოქალაქეებს, სხვა ფიზიკურ პირებს და იურიდიულ პირებს, თუ მათ მიაჩნიათ, რომ დარღვეულია ან შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული მათი უფლებანი და თავისუფლებანი“. აღნიშნული ნორმა, „ერთი მხრივ, აღჭურავს ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის უფლებით, თუმცა, მეორე მხრივ, გამორიცხავს სასამართლოსათვის მიმართვის პროცესში „*actio popularis*“ შესაძლებლობას. მოსარჩელე უფლებამოსილია, იდავოს ნორმატიული აქტების საფუძველზე უშუალოდ მისი უფლებების დარღვევებთან დაკავშირებით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 29 დეკემბრის №2/4/507 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი თარგამაძე, გიორგი ლეკიშვილი, ინგა გრიგოლია და ჯაბა სამუშია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II-3).

10. ამგვარად, საქართველოს კანონმდებლობა საკონსტიტუციო სასამართლოს აღჭურავს უფლებამოსილებით, წარმოებაში მიიღოს კონსტიტუციური სარჩელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი სადავო საკანონმდებლო აქტი ან მისი ნაწილი ზღუდავს უშუალოდ მოსარჩელის კონსტიტუციურ უფლებებს. შესაბამისად, იმისათვის, რომ მოსარჩელემ სადავოდ გახადოს ესა თუ ის ნორმა, საჭიროა, მან ნათლად და არაორაზროვნად წარმოაჩინოს, რომ იგი უკვე წარმოადგენდა ან სამომავლოდ, დიდი ალბათობით, იქნება სადავო ნორმით განსაზღვრული სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი (ანუ სადავო ნორმატიული აქტი მის მიმართ რეალურად იქნება გამოყენებული), რამაც შემდგომ შეიძლება გამოიწვიოს მისი კონსტიტუციური უფლებების დარღვევის შესაძლებლობა ... იგი არ არის უფლებამოსილი, სასამართლოს მიმართოს სხვისი უფლებების დასაცავად მათი მხრიდან შესაბამისი უფლებამოსილების მინიჭების გარეშე (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის №1/2-527 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი წაქაძე, ილია წულუკიძე და ვახტანგ ლორია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7).

11. კონსტიტუციურ სარჩელში მითითებულია, რომ მოსარჩელეს წარმოადგენს ინტერნეტმედია, რომელიც პერიოდულად, საკუთარი ვებგვერდის მეშვეობით, ინტერნეტპლატფორმაზე განათავსებს გარკვეული სახის ინფორმაციას, მათ შორის, საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებს. თუმცა, კონსტიტუციური სარჩელის ავტორი, ამავდროულად, იმასაც აპროტესტებს, რომ სადავო ნორმებით დადგენილმა წესმა, ასევე შეიძლება დაარღვიოს ბეჭდური მედიის კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები. ამკარაა, რომ მოსარჩელე, ამ თვალსაზრისით, სხვისი უფლებების შესაძლო დარღვევაზე მიუთითებს. ამდენად, №1483-ე კონსტიტუციური სარჩელი ამ ნაწილში „*actio popularis*“ წარმოადგენს და არ არის უფლებამოსილი სუბიექტის მიერ შემოტანილი. ამ კონტექსტში სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ, საზოგადოდ, მედიის სხვადასხვა საშუალებები (პრესა, ტელევიზია, რადიო, ინტერნეტმედია) მრავალი ფაქტორით (მათ შორის, პოტენციური აუდიტორიის სიდიდით, მომხმარებელზე ზემოქმედების განსხვავებული გავლენით და სხვ.) განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და, მართალია, არაერთ სფეროში ერთგვაროვანი უფლებები გააჩნიათ და ერთგვაროვან შეზღუდვებს ექვემდებარებიან, მაგრამ ზოგიერთ სფეროში, სწორედ მათი განსხვავებულობის გამო, შესაძლოა მათდამი განსხვავებული მიდგომების გამოყენებას მოითხოვდნენ. ის, რაც გამართლებულ შეზღუდვად შეიძლება შეფასდეს მედიის ერთი რომელიმე საშუალების მიმართ, შესაძლოა გაუმართლებელი აღმოჩნდეს სხვის მიმართ და პირიქით. შესაბამისად, ბეჭდვითი მედიის მიმართ სარჩელის მისაღებობის საკითხის შეფასებისას (კიდევაც რომ არ გვექონდეს საქმე არასათანადო მოსარჩელის პრობლემასთან), საკონსტიტუციო სასამართლო ვერ დაეყრდნობა პრეზუმფციას, რომ თითქოს დასკვნები, რომლებსაც თავად გამოიტანს ინტერნეტმედიის მიმართ არსებული შეზღუდვების კონსტიტუციურობისა თუ არაკონსტიტუციურობის თაობაზე, თანაბრად და უპირობოდ შეიძლება გავრცელდეს მედიის სხვა საშუალებაზე, მათ შორის, ბეჭდვით მედიაზე, რამდენადაც ასეთი პრეზუმფციის დაშვება გაუმართლებელი იქნებოდა. ამგვარად, ბეჭდვითი მედიის მიმართ არსებული იგივე შეზღუდვები, რაც ინტერნეტმედიის მიერ არის გასაჩივრებული, ცალკე შეფასების საგანია და წინამდებარე სარჩელის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლო მასზე ვერ იმსჯელებს.

12. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სახეზეა კონსტიტუციური სარჩელის სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილში არსებითად განსახილველად არმიღების „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31³ მუხლის



პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი. შესაბამისად, იგი არ უნდა იქნეს მიღებული არსებითად განსახილველად.

13. კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მისაღებად აუცილებელია, იგი აკმაყოფილებდეს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, „კონსტიტუციური სარჩელისადმი კანონმდებლობით წაყენებულ პირობათაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია დასაბუთებულობის მოთხოვნა. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კონსტიტუციური სარჩელი დასაბუთებული უნდა იყოს. მოსარჩელემ კონსტიტუციურ სარჩელში უნდა მოიყვანოს ის მტკიცებულებანი, რომლებიც, მისი აზრით, ადასტურებენ სარჩელის საფუძვლიანობას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 19 ოქტომბრის №2/6/475 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ალექსანდრე მიმისტარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1). ამასთან, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად, „კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებისათვის აუცილებელია, მასში გამოკვეთილი იყოს აშკარა და ცხადი შინაარსობრივი მიმართება სადავო ნორმასა და კონსტიტუციის იმ დებულებებს შორის, რომლებთან დაკავშირებითაც მოსარჩელე მოითხოვს სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის №1/3/469 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახაბერ კობერიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1). წინააღმდეგ შემთხვევაში, კონსტიტუციური სარჩელი მიიჩნევა დაუსაბუთებლად და, შესაბამისად, არ მიიღება არსებითად განსახილველად.

14. №1483 კონსტიტუციური სარჩელის ფარგლებში მოსარჩელე სადავოდ ხდის საქართველოს საარჩევნო კოდექსის 93-ე მუხლის მე-2 პუნქტის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან, მე-3 პუნქტის პირველ და მე-2 წინადადებებთან, მე-4 და მე-5 პუნქტებთან მიმართებით. კონსტიტუციური სარჩელის ავტორის მოსაზრებით, კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისია უფლებამოსილია საქართველოს საარჩევნო კოდექსის 82-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისათვის ინტერნეტმედიის მიმართ შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რითაც ირღვევა ზემოხსენებული კონსტიტუციური დებულებებით დაცული მისი უფლებები.

15. აღსანიშნავია, რომ საქართველოს საარჩევნო კოდექსის 93-ე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს ამავე კოდექსის 82-ე და 83-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას კომუნიკაციის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის უფლებამოსილებას კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში მოახდინოს ადეკვატური სამართლებრივი რეაგირება – შეადგინოს სამართალდარღვევის ოქმი და მისცეს დამრღვევი სუბიექტი ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში. საკუთრივ ნორმა არ აწესებს გამოხატვის თავისუფლების შინაარსობრივ შეზღუდვას, მათ შორის, არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი კვლევის შედეგების დროის გარკვეულ პერიოდში გავრცელების აკრძალვას ან საზოგადოებრივი კვლევის შედეგების გავრცელებისას დამკვეთის ვინაობის მითითების მოთხოვნას, ისევე, როგორც არ ითვალისწინებს შესაბამისი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესების მატერიალურ-სამართლებრივ საფუძვლებს. სადავო ნორმა, ასევე არ ადგენს გარკვეულ ნორმატიულ ჩარჩოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობისთვის, ინტერნეტით თავისუფლად სარგებლობისთვის და, მით უფრო, არ ეხება ცენზურის, ისევე როგორც მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის აკრძალვასთან დაკავშირებულ საკითხებს. საარჩევნო კოდექსის 93-ე მუხლის მე-2 პუნქტი შემოიფარგლება მხოლოდ კომუნიკაციის მარეგულირებელი ეროვნული კომისიისათვის ჩადენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე სამართლებრივი რეაგირების უფლებამოსილების მინიჭებით და მას არ გააჩნია მოსარჩელის მიერ მითითებულ კონსტიტუციურ უფლებათა მზლუდავი ხასიათი.

16. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სახეზეა კონსტიტუციური სარჩელის სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილში არსებითად განსახილველად არმიღების „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31³ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი. შესაბამისად, იგი არ უნდა იქნეს მიღებული არსებითად განსახილველად.

17. მოსარჩელე სადავოდ ხდის საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 50-ე მუხლის მე-5 პუნქტის და 82-ე მუხლის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის პირველ წინადადებასთან მიმართებით. 50-ე მუხლის მე-5 პუნქტთან მიმართებაში



კონსტიტუციური სარჩელის ავტორისთვის პრობლემურია სადავო ნორმით დადგენილი წესი, რომლის ფარგლებშიც: ა) ინტერნეტმედიას ეკრძალება კენჭისყრის დღემდე 48 საათის განმავლობაში და კენჭისყრის დღის 20 საათამდე საზოგადოებრივი აზრის კვლევების გამოქვეყნება; ბ) ინტერნეტმედიას ეკისრება არჩევნების დანიშვნის დღიდან ცესკოს მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე და ამ დღიდან 1 თვის განმავლობაში არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნებისას გამოკითხვის დამკვეთზე ინფორმაციის გამოქვეყნების ვალდებულება; ხოლო 82-ე მუხლთან დაკავშირებით კი მოსარჩელისთვის პრობლემურია ის ნორმატიული შინაარსი, რომლის მიხედვითაც ამავე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სუბიექტად მოაზრებულია ინტერნეტმედია.

18. აღსანიშნავია, რომ მოსარჩელის მიერ საკითხის ამგვარად დაყენება ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადებით დაცული უფლებრივი სფეროს შინაარსისა და ფარგლების არასწორ აღქმას. დასახელებული კონსტიტუციური დებულება ადგენს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლების კონსტიტუციურსამართლებრივ გარანტიას. საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლებაში მოიაზრება მათი ინსტიტუციური და ორგანიზაციული დამოუკიდებლობა, სახელმწიფოსაგან მათი თავისუფლება იმ მნიშვნელოვანი როლის განხორციელებისას, რომელიც მედიას ეკისრება ყოველ დემოკრატიულ სახელმწიფოში. კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადება იცავს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ძირითად უფლებასა და შესაძლებლობას, იფუნქციონირონ მთავრობის კონტროლის, შეზღუდვებისა და ცენზურის გარეშე, დროულად მოიძიონ და მიაწოდონ საზოგადოებას ინფორმაცია და იდეები საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე სახელმწიფო ორგანოებისა თუ თანამდებობის პირების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. კონსტიტუციის დასახელებული ნორმა ადგენს წინაპირობებს, რომლებიც აუცილებელია იმისათვის, რათა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა კონსტიტუციური საჯარო წესრიგით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში შეასრულონ თავიანთი ფუნქცია საჯარო კომუნიკაციის პროცესში – განახორციელონ „საზოგადოებრივი დარაჯის როლი“, ხელი შეუწყონ განსხვავებული იდეების ცირკულაციას, საზოგადოებრივი პრობლემების სააშკარაოზე გამოტანას და მათზე საჯარო დისკუსიებს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლება, უწინარესად, გულისხმობს სწორედ მათ ინსტიტუციურ-ორგანიზაციულ თავისუფლებას, მათ შესაძლებლობას, გარე ჩარევისაგან დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილებები ყველა შესაბამის საკითხზე, რაც კი მათ საქმიანობას შეეხება, დაწყებული მასმედიის საშუალების დაფუძნებიდან და მისი შიდა ორგანიზაციული საკითხებიდან, თვითრეგულაციის ჩათვლით, დამთავრებული ინფორმაციის მოპოვებითა და გავრცელებით.

19. თუმცა საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლება, კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადების მიზნებისათვის, არ გულისხმობს და არ მოიცავს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლებას, არ ექვემდებარებოდეს სახელმწიფოს მხრიდან კონსტიტუციით დადგენილ შეზღუდვებს, რომლებიც შეეხება, მათ შორის, ინფორმაციისა და იდეების მიღებისა და გავრცელების შინაარსობრივ მხარეს. კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული უფლებები, მათ შორის, როგორც საკუთრივ მასობრივი ინფორმაციის საშუალების თავისუფლება (მე-3 პუნქტი), ისე ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების თავისუფლება (მე-2 პუნქტი) არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებებს და ამავე მუხლის მე-5 პუნქტის ძალით ისინი ექვემდებარება შეზღუდვებს, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ამავე ნორმაში მითითებული საჯარო თუ კერძო (ინდივიდუალური) ინტერესების დასაცავად.

20. სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, სადავო ნორმები გულისხმობს კონკრეტული ხასიათის ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და გავრცელების შეზღუდვას მისი შინაარსის გამო. ამგვარი შეზღუდვა სცდება საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადებით დაცული უფლებრივი სფეროს ფარგლებს (რომელიც, საგულისხმოა, რომ ისედაც არ არის აბსოლუტური) და ამავე კონსტიტუციური დებულების მიზანმიმართულებას. როდესაც საქმე შეეხება კონკრეტული შინაარსის ინფორმაციის და არა ინფორმაციის გავრცელების საშუალების შეზღუდვას, იგი შეფასებადია არა კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის, არამედ ამავე მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტების საფუძველზე. სადავო ნორმები შესაბამისი ინფორმაციის გამოქვეყნებას უკრძალავს ყველა ტიპის მედიას და არა მხოლოდ ინტერნეტმედიას, ისევე როგორც კვლევების დამკვეთზე დამატებითი ინფორმაციის გამოქვეყნების ვალდებულებაც ყველა მათგანს შეეხება და არა მარტო მას. სადავო ნორმები არ გულისხმობს უშუალოდ ინფორმაციის გავრცელების საშუალებებისათვის, მათ შორის,



ინტერნეტმედიისათვის და ასევე მოსარჩელისათვის, როგორც ინტერნეტმედიის წარმომადგენლისათვის, რაიმე დაბრკოლებების შექმნას, რათა მოქმედებაში მოვიდეს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადება. სადავო ნორმების საფუძველზე, ერთი მხრივ, აკრძალულია საზოგადოებრივი კვლევების შესახებ კონკრეტული ინფორმაციის შესაბამის დროის მონაკვეთში გამოქვეყნება, მეორე მხრივ, დაწესებულია დამატებითი მოთხოვნები მისი გავრცელებისათვის, რომელთა გამართლებულობაც კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტების ჭრილში მოითხოვს შეფასებას. შესაბამისად, სახეზე არ არის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლებაში ჩარევა კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის გაგებით. ამ მუხლის სტრუქტურულიდან არ გამომდინარეობს, რომ გამოხატვის/ინფორმაციის თავისუფლების ნებისმიერ, და, მით უმეტეს, შინაარსობრივ შეზღუდვას თითქოს მოქმედებაში მოჰყავს მე-3 პუნქტი მხოლოდ იმის გამო, რომ შეზღუდვა მასმედიასაც შეეხება. კონსტიტუციის მე-17 მუხლის სისტემაში, გამოხატვის/ინფორმაციის თავისუფლება შესაბამისი აზრებისა და ინფორმაციის შინაარსის, ისევე როგორც მათი გავრცელების საშუალებისა თუ სხვა ფაქტორების მიუხედავად, დაცულია ამ მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით. შესაბამისი შეზღუდვების გამართლებულობა კი შეფასებადია ამავე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, რომელიც, ერთი მხრივ, ადგენს ამ თავისუფლებათა შეზღუდვის შესაძლებლობას და, მეორე მხრივ კი, ამომწურავად ჩამოთვლის იმ საჯარო და კერძო ინტერესებს, რომელთა დასაცავად მათი შეზღუდვა შესაბამის გარემოებებში გამართლებულად შეიძლება იქნეს მიჩნეული.

21. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით №1483 კონსტიტუციური სარჩელი, სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 50-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 82-ე მუხლის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის პირველ წინადადებასთან მიმართებით, დაუსაბუთებელია და არ უნდა იქნეს არსებითად განსახილველად მიღებული „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31³ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

22. მოსარჩელე ასევე სადავოდ ხდის საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 50-ე მუხლის მე-5 პუნქტითა და 82-ე მუხლით დადგენილი გასაჩივრებული წესის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის მე-2 წინადადებასთან მიმართებით. დასახელებული კონსტიტუციური დებულება ადგენს, რომ ცენზურა დაუშვებელია.

23. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთხელ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ უფლებებს შორის არსებული შინაარსობრივი ურთიერთკავშირის მიუხედავად, ძირითადი უფლებებით დაცულ სფეროებთან მიმართების დადგენა საჭიროებს ინდივიდუალურ შეფასებას კონკრეტული უფლების შინაარსისა და ფარგლების გათვალისწინებით. ამ მხრივ, „ბუნებრივია, ერთი და იგივე სამართლებრივი ურთიერთობა შესაძლოა კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლით დაცულ სფეროში მოექცეს, ისევე, როგორც კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლებით დაცული სფეროები გარკვეულწილად ფარავდეს (მოიცავდეს) ერთმანეთს. თუმცა, კონსტიტუციის განსხვავებული ნორმებით დაცული უფლებების ფარგლების ხელოვნური გაფართოება, უფლებებს შორის კონსტიტუციით გავლებული ზღვრის წაშლა, ვერც უფლების დაცვას მოემსახურება და ვერც კონსტიტუციით დადგენილ წესრიგს უზრუნველყოფს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 20 დეკემბრის №1/7/561,568 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-11).

24. ამდენად, საქართველოს კონსტიტუციის სულისკვეთება მოითხოვს, რომ კონსტიტუციის განმარტების პროცესში საკონსტიტუციო სასამართლომ უზრუნველყოს კონსტიტუციით დადგენილი წესრიგის დაცვა, თითოეული კონსტიტუციური დებულების გააზრება და გამიჯვნა მათი შინაარსის მიხედვით. წინამდებარე სარჩელში საარჩევნო კოდექსის სადავოდ გამხდარი 50-ე მუხლის მე-5 პუნქტი და 82-ე მუხლი აწესებს გარკვეული შინაარსის ინფორმაციის დროის გარკვეულ პერიოდში გავრცელების აკრძალვას ანდა მათ გავრცელებას უშვებს სხვა, დამატებითი ინფორმაციის გამოქვეყნების პირობით. ასე რომ, ორივე შემთხვევაში საქმე შეეხება კონკრეტული ინფორმაციის გავრცელებისათვის წინასწარ დადგენილ შეზღუდვას ან/და პირობას და არა პოსტპუბლიკაციურ სანქციებს. ვინაიდან „ცენზურაც“, მისი ტრადიციული გაგებით, სწორედ გარკვეული შინაარსის მოსაზრებებისა თუ ინფორმაციის წინასწარ აკრძალვებს უკავშირდება, ცხადია, საკონსტიტუციო სასამართლოს ამოცანაა, დაადგინოს, №1483 კონსტიტუციური სარჩელის ფარგლებში სადავო ნორმებით დადგენილი შეზღუდვები წარმოადგენს



ინფორმაციის თავისუფლების შინაარსობრივი შეზღუდვის ორდინარულ შემთხვევას, რომელიც მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე შეიძლება გამართლებულადაც შეფასდეს, თუ „ცენზურას“, რომელიც ამავე მუხლის მე-3 პუნქტით აკრძალულია და რომლისგან უკანდახევაც კონსტიტუციით დაშვებული არ არის. აქვე სასამართლო აღნიშნავს, რომ იგი არ დგას „ცენზურის დაუშვებლობის“ შესახებ კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის დებულების ამომწურავი განმარტების საჭიროების წინაშე, თუმცა იგი განმარტავს მას იმ ფარგლებში, რაც საჭიროა ინფორმაციის სხვაგვარი, წინასწარი, მაგრამ ნებადართული აკრძალვებისაგან მის გასამიჯნად.

25. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „ცენზურა“ კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის მე-2 წინადადების გაგებით მართალია, ასევე შეიძლება უკავშირდებოდეს გარკვეული შინაარსის ინფორმაციის გავრცელების შეზღუდვას, მაგრამ იგი, უწინარესად და უმთავრესად, გულისხმობს ინფორმაციის წინასწარი, რეგულარული შემოწმების სისტემას, რომლის ფარგლებშიც, სახელმწიფო შემზღუდავი ღონისძიების გამოყენების საფუძველზე ინფორმაციის გავრცელების შესაძლებლობის მინიჭებას უქვემდებარებს პრევენციული კონტროლის მექანიზმებს გარკვეულ საფრთხეთა აცილების მიზნით. კერძოდ, ასეთ დროს, კონკრეტული სახის ინფორმაცია მის გამოქვეყნებამდე გადის შესაბამის შინაარსობრივ ფილტრს სახელმწიფოს, რომელიმე ინსტიტუციის ან მაკონტროლებელი ორგანოს მხრიდან და ამგვარი წინასწარი შემოწმების შედეგად ხდება ინფორმაციის გავრცელებაზე თანხმობის გაცემა ან უარის თქმა, ან/და, ინფორმაციის შესაბამისად მოდიფიცირების დავალება. შესაბამისად, კონსტიტუციით მოაზრებული „ცენზურის“ აკრძალვა გულისხმობს გენერალურ აკრძალვას, რომლის პირობებშიც დაუშვებელია შინაარსობრივად შეუმოწმებელი ინფორმაციის თავისუფლად და საჯაროდ გავრცელება უფლებამოსილი ორგანოს ან თანამდებობის პირის წინასწარი თანხმობის გარეშე და რომელიც მიზნად ისახავს თავისუფალი სიტყვის, ინფორმაციის თავისუფალი ცირკულაციის შეზღუდვას გარკვეული იდეოლოგიური, პოლიტიკური, რელიგიური თუ სხვა მოსაზრებებით. იგი შეიძლება გულისხმობდეს აგრეთვე იმგვარი სისტემის არსებობას, სადაც დანერგულია მასმედიის საშუალების ერთგვარი არაფორმალური ანგარიშვალდებულება დასახელებული სუბიექტების წინაშე საკითხზე, გადაიცეს თუ არა, ან რა ფორმით, ესა თუ ის ინფორმაცია. ინფორმაციის გავრცელების თავისუფლების ამგვარი შეზღუდვა კონსტიტუციით აკრძალულია და მისგან უკანდახევა ნებადართული არ არის.

26. სასამართლო, ამასთან, ხაზს უსვამს, რომ კონკრეტული სახის ინფორმაციის გავრცელებისა და მისი თავისუფალი ცირკულაციის წინასწარი აკრძალვა ყოველთვის როდია „ცენზურა“. მაგალითად, აკრძალულია სახელმწიფო, კომერციული, პირადი საიდუმლოს ან სხვა კონფიდენციალური ინფორმაციის გავრცელება, მაგრამ ეს ცხადია, არ წარმოადგენს „ცენზურას“ მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის გაგებით. ამდენად, იმისთვის, რომ სადავო ნორმა საკონსტიტუციო სასამართლომ შეაფასოს ცენზურის დაუშვებლობის შესახებ კონსტიტუციურ დებულებასთან მიმართებით, საკმარისი არ არის მოსარჩელის მხრიდან იმის ჩვენება, რომ კონკრეტული სახის ინფორმაციის გავრცელების/მიღების თავისუფლება წინასწარ (კანონით ან ფაქტობრივად) არის აკრძალული, მან, უწინარესად, უნდა მიუთითოს საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი სუბიექტის იმგვარი შემაკავებელი მექანიზმის არსებობაზე, რომელიც ზღუდავს ინფორმაციის პირველად გასაჯაროებას იმგვარად, რომ საჯაროდ გავრცელებას დამოკიდებულს ხდის ზედამხედველი პირის შესაბამის ნებართვაზე და ინფორმაციის მიმართ მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე.

27. განსახილველი საქმის ფარგლებში საარჩევნო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 პუნქტით და 82-ე მუხლით დადგენილი წესი, ერთი მხრივ, კრძალავს გარკვეული ტიპის ინფორმაციის პირველად გავრცელებას და, მეორე მხრივ, აწესებს გარკვეულ პირობებს კონკრეტული ინფორმაციის გავრცელებისთვის, ამასთან, ზემოხსენებულ ვალდებულებათა დარღვევისთვის ითვალისწინებს კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციის გამოყენების შესაძლებლობას. სასამართლო აღნიშნავს, რომ აღნიშნული რეგულირება მართლაც გულისხმობს ერთგვარი თვითკონტროლის საჭიროებას მასმედიის საშუალების მხრიდან, რამდენადაც კანონის მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ითვალისწინებს კონკრეტულ სამართლებრივ სანქციას. თუმცა ცენზურის ფენომენთან ამგვარი ზედაპირული, ფრაგმენტული და არაარსებითი მსგავსების გამო, სადავო შეზღუდვები ვერ იქნება მიჩნეული „ცენზურად“, რომელიც აკრძალულია ყოველ დემოკრატიულ ქვეყანაში და რომელიც კონტროლის სპეციალური სისტემებისა და ბერკეტების მეშვეობით სახელმწიფო ჩინოვნიკების მიხედულებას უქვემდებარებს იმის განსაზღვრას, თუ რომელი ინფორმაცია გავრცელდეს და რომელი არა, რომელი ინფორმაციაა ზიანის მომტანი და რომელი არა. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ სადავო ნორმით დადგენილი წესი საერთოდ არ ითვალისწინებს საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი სუბიექტის მიერ ინფორმაციის გავრცელებამდე მასზე წინასწარი შინაარსობრივი ზედამხედველობის



შესაძლებლობას. შედეგად, სადავო ნორმებში მითითებული ინფორმაციის გავრცელება დაქვემდებარებული არ არის საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი პირის მიერ ნებართვის გაცემაზე.

28. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ნორმებით დადგენილი შეზღუდვების კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებაში შემოწმების მოთხოვნა ეფუძნება ცენზურის დაუშვებლობის შესახებ კონსტიტუციით დადგენილი მოთხოვნის შინაარსისა და მისი ფარგლების არასწორ აღქმას. ცალსახაა, სადავო ნორმით გათვალისწინებულ შეზღუდვებს არ გააჩნია არავითარი მიმართება ცენზურის აკრძალვის კონსტიტუციურ დებულებასთან და წარმოადგენს ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლების შეზღუდვის ორდინარულ შემთხვევას, რომლის ფარგლებშიც დაწესებული შეზღუდვის გამართლებულობა ურთიერთდაპირისპირებული ინტერესების ჭრილში უნდა შეფასდეს. შესაბამისად, გასაჩივრებული წესით დადგენილი შეზღუდვა იმყოფება კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის მე-2 წინადადებით დადგენილი ცენზურის აკრძალვის შინაარსობრივი ფარგლების მიღმა და მისი კონსტიტუციურობის შეფასება კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტების საფუძველზე უნდა განხორციელდეს.

29. შესაბამისად, №1483 კონსტიტუციური სარჩელი, სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 50-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 82-ე მუხლის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის მე-2 წინადადებასთან მიმართებით, დაუსაბუთებელია და არ უნდა იქნეს არსებითად განსახილველად მიღებული „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31³ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

30. მოსარჩელე ასევე სადავოდ ხდის საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 50-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 82-ე მუხლის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტთან მიმართებით. კონსტიტუციური სარჩელის ავტორის მითითებით, იგი წარმოადგენს ინტერნეტმედიას. შესაბამისად, იგი საკუთარი საქმიანობის ფარგლებში პერიოდულად განათავსებს გარკვეული სახის ინფორმაციას, მათ შორის საზოგადოებრივი კვლევის შედეგებს ინტერნეტპლატფორმაზე. სადავო ნორმის საფუძველზე დადგენილი შეზღუდვა კი, მას ართმევს უფლებას, ჰქონდეს წვდომა ინტერნეტზე და თავისუფლად ისარგებლოს მისით, რაც, თავის მხრივ, არღვევს საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტით გარანტირებულ უფლებას.

31 საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელის მიერ სასარჩელო მოთხოვნის ამგვარად დაყენება სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია. მითითებული კონსტიტუციური დებულება ადგენს, რომ ყველას აქვს ინტერნეტზე წვდომისა და ინტერნეტით თავისუფლად სარგებლობის უფლება. ჯერ ერთი, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ სადავო ნორმით დაწესებული შეზღუდვა მიემართება არა მხოლოდ ინტერნეტმედიას, არამედ ყველა სახის მასობრივი ინფორმაციის საშუალებას. რაც მთავარია, შეზღუდვის მოქმედების პირობებში საერთოდ არ ხდება ინტერნეტზე წვდომისა და მისით თავისუფლად სარგებლობის კონსტიტუციურ უფლებაში რაიმე ფორმით ჩარევა. როგორც აღინიშნა, სადავო ნორმით დადგენილი წესი, ერთი მხრივ, კრძალავს განსაზღვრული სახის ინფორმაციის – საზოგადოებრივი კვლევის შედეგების – კონკრეტული დროის პერიოდში გავრცელებას, მეორე მხრივ, ასევე განსაზღვრულ დროის მონაკვეთში მისი გავრცელებისას მოითხოვს საზოგადოებრივი კვლევის დამკვეთზე ინფორმაციის მითითებას. შესაბამისად, გასაჩივრებული წესის საფუძველზე, სახელმწიფოს მხრიდან არ ხდება რაიმე ფორმით ბარიერების ანდა აკრძალვების დაწესება, რომლებიც შეზღუდავდა მომხმარებლის ინტერნეტზე წვდომას ან მისით თავისუფლად სარგებლობის კონსტიტუციურ უფლებას. კონსტიტუციური სარჩელის ავტორს სადავო ნორმის მოქმედების ფარგლებში უწყვეტად გააჩნია წვდომა ინტერნეტზე და მისი გამოყენების შესაძლებლობა. თავისთავად ის გარემოება, რომ მოსარჩელე სადავო რეგულირებით განსაზღვრული ინფორმაციის გავრცელების საშუალებად იყენებს ინტერნეტპლატფორმას, არ არის საკმარისი საფუძველი გასაჩივრებული წესის ინტერნეტით თავისუფლად სარგებლობის კონსტიტუციურ უფლებასთან წინააღმდეგობის წარმოსაჩენად. კონსტიტუციური სარჩელის ავტორს, სადავო ნორმის საფუძველზე, პრაქტიკულად, ინტერნეტით თავისუფლად სარგებლობის უფლება კი არ ეზღუდება, არამედ განსაზღვრული ინფორმაციის დროის კონკრეტულ პერიოდში გავრცელება ეკრძალება ინფორმაციის მასობრივი გავრცელების ნებისმიერი საშუალებით და, მათ შორის, ინტერნეტით. ამგვარად, ვინაიდან სადავო ნორმით ნაგულისხმები შეზღუდვა, თავისი არსით, შეეხება საკუთრივ ინფორმაციის გავრცელებას და არა მისი გავრცელების საშუალებას – ინტერნეტს, მისი კონსტიტუციურობა ვერ იქნება შეფასებადი



კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე.

32. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, №1483 კონსტიტუციური სარჩელი, სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 50-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 82-ე მუხლის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტთან მიმართებით დაუსაბუთებელია და არ უნდა იქნეს არსებითად განსახილველად მიღებული „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31³ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

33. №1483 კონსტიტუციური სარჩელი, სხვა მხრივ, სრულად აკმაყოფილებს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31¹ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მოთხოვნებს და არ არსებობს ამ კანონის 31³ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის რომელიმე საფუძველი.

III

სარეზოლუციო ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 27¹ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, 29-ე მუხლის მე-2 და მე-7 პუნქტების, 31-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 31¹ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 31² მუხლის მე-8 პუნქტის, 31³ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების, 31⁵ მუხლის პირველი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-7 პუნქტების, 31⁶ მუხლის პირველი პუნქტის, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 43-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-5, მე-8, მე-10 და მე-13 პუნქტების საფუძველზე,

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს არსებითად განსახილველად №1483 კონსტიტუციური სარჩელი („შპს საინფორმაციო ცენტრების ქსელი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 50-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 82-ე მუხლის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტებთან მიმართებით.

2. არ იქნეს მიღებული არსებითად განსახილველად №1483 კონსტიტუციური სარჩელი („შპს საინფორმაციო ცენტრების ქსელი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 50-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 82-ე მუხლის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის პირველ და მე-2 წინადადებებთან და მე-4 პუნქტებთან მიმართებით და 93-ე მუხლის მე-2 პუნქტის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან, მე-3 პუნქტის პირველ და მე-2 წინადადებებთან, მე-4 და მე-5 პუნქტებთან მიმართებით.

3. საქმეს არსებითად განიხილავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი.

4. საქმის არსებითი განხილვა დაიწყება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

5. საოქმო ჩანაწერი საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.

6. საოქმო ჩანაწერს დაერთოს მოსამართლეების – ირინე იმერლიშვილის, გიორგი კვერენჩილაძის და თეიმურაზ ტულუშის განსხვავებული აზრი.



7. საოქმო ჩანაწერი 15 დღის ვადაში გამოქვეყნდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე, გაეგზავნოს მხარეებს და „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“.

პლენუმის წევრები:

მერაბ ტურავა

ევა გოცირიძე

გიორგი თევდორაშვილი

ირინა იმერლიშვილი

გიორგი კვერენჩილაძე

ხვიჩა კიკილაშვილი

მანანა კობახიძე

ვასილ როინიშვილი

თეიმურაზ ტულუში

